შეთანხმება იჯარის ხელშეკრულების
შეწყვეტის შესახებ

ქ. თბილისი 9 თებერვალი, 2026 წელი

ერთი მხრივ, **შპს „Green way“** (ს/ნ: 425052444, მის: საქართველო, ბაღდათის რაიონი, სოფ. ფერსათი) წარმოდგენილი დირექტორს – მოჰამედ ხორამ ტოსის უფლებამოსილი წარმომადგენლის თამარ მაჭავარიანის (პ/ნ:01008023070) მიერ (შემდეგში – **“მეიჯარე”)** და მეორე მხრივ, **შპს „ბიტანიკა“** (ს/ნ: 405573856, მის: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, მერაბ ალექსიძის ქუჩა N12, სართული 8, ბლოკი "ბ", საოფისე ფართი N39), წარმოდგენილი მისი დირექტორის ვახტანგ ჭითავას სახით (პირადი ნომერი: 62001036446) (შემდეგში **„მოიჯარე“),** ცალ-ცალკე **„მხარედ“,** ხოლო ორივე ერთად **„მხარეებად“** წოდებულნი;

ვინაიდან, მხარეებს შორის 2025 წლის 13 აგვისტოს გაფორმდა უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულება (შემდგომში **„იჯარის ხელშეკრულება“),** რომლის საფუძველზეც მეიჯარემ გადასცა, ხოლო მოიჯარემ იჯარის უფლებით მიიღო მეიჯარის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება – 70 კვ.მ კომერციული ფართი, საკადასტრო კოდით: 01.10.14.012.030.01.01.002, მდებარე ქ.თბილისში, პეკინის 36/ყაზბეგის 1, I სართული, (შემდგომში „იჯარის ობიექტი“); კომერციული საქმიანობის მიზნით (შემდეგში **„საიჯარო ქონება“**);

ვინაიდან, მხარეებს სურთ 2026 წლის 1 მარტიდან შეწყვიტონ იჯარის ხელშეკრულება;

აქედან გამომდინარე, მხარეები დებენ წინამდებარე შეთანხმებას:

1. 2026 წლის 1 მარტიდან მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, შეწყდეს მათ შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება.
2. მოიჯარე ვალდებულია წინამდებარე შეთანხმების ხელმოწერისთანავე მეიჯარეს უკან დაუბრუნოს მისთვის იჯარის ხელშეკრულების ფარგლებში გადაცემული საიჯარო ქონება.
3. მხარეები აცხადებენ, რომ მათ არ აქვთ იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე რაიმე მოთხოვნა ან/და პრეტენზია ერთმანეთის მიმართ.
4. შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე.
5. შეთანხმება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად და თითო ეგზემპლიარი გადაეცემა შესაბამის მხარეს, ხოლო ერთი ეგზემპლიარი წარედგინება სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

6. მხარეთა ხელმოწერები:

მეიჯარე:	მოიჯარე:
შპს „Green way“ ს.ნ: 425052444	შპს „ბიტანიკა“ ს/ნ:405573856
/ Tamar Digitally signed by Tamar / თამარ მაჭავარიანი პ/ნ:01008023070 დირექტორის უფლებამოსილი წარმომადგენელი	/ Vakhtang Chitava Digitally signed by Vakhtang Chitava / ვახტანგ ჭითავა პ/ნ:62001036446 დირექტორი